სსო-ებმა სწრაფად ირეაგირეს პანდემიაზე, მოერგნენ ახალ გარემოებებს და უზრუნველყოფდნენ სერვისებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ავსებდა სახელმწიფო დახმარებას. ისინი დახმარებას უწევდნენ მოწყვლად ჯგუფებს, სთავაზობდნენ უფასო სერვისებს დისტანციური სწავლებისთვის და ეხმარებოდნენ სახელმწიფოს პანდემიის შესახებ ინფორმაციის უმცირესობათა ენაზე გავრცელებაში.

ქვეყანაში არსებული რთული ვითარების მიუხედავად, სსო-ებმა შეინარჩუნეს სტაბილურობა და უმეტესი მიმართულებით გაუმჯობესებაც კი შეინიშნა. მაგალითად, გაუმჯობესდა ორგანიზაციული შესაძლებლობები და სერვისის მიწოდება. სსო-ებმა აჩვენეს გაზრდილი გამძლეობა, მოქნილობა, ადაპტირება და სწრაფად ირეაგირეს ჯანდაცვის უპრეცედენტო კრიზისის შედეგად წარმოქმნილ საჭიროებებზე. სექტორის საჯარო იმიჯი გაუმჯობესდა, ვინაიდან საზოგადოებამ აღიარა მათი ძალისხმევა. ოდნავ გაუმჯობესდა ადვოკატირებაც და სსო-ები წარმატებით ადვოკატირებდნენ სხვადასხვა საკითხს. მათ გააძლიერეს თავიანთი ქსელები, თანამშრომლობა და ძალისხმევა მიმართეს გრძელვადიან საკითხებზე, რაც ხელს უწყობს დარგობრივი ინფრასტრუქტურის ზომიერ გაუმჯობესებას. სამართლებრივი გარემო და ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა კი ძირითადად უცვლელი დარჩა.

სსო-ები საქართველოში რეგისტრირებულია, როგორც არაკომერციული იურიდიული პირები. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, წლის ბოლოსთვის რეგისტრირებული იყო 28 938 არაკომერციული იურიდიული პირი, რომელთაგანაც მხოლოდ 3 774 ფუნქციონირებდა. სსო-ების

დიდი ნაწილი რეგისტრირებულია დედაქალაქ თბილისში და სხვა დიდ ქალაქებში - ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ძირითადად მუშაობენ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, განათლება, თემის განვითარება და ადგილობრივი საკითხები, ახალგაზრდობა და ბავშვები, სოციალური და შრომითი უფლებები.

რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში სსო-ები მოქმედებენ მნიშვნელოვნად განსხვავებულ სამართლებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში იმ ორგანიზაციებთან შედარებით, რომლებიც ფუნქციონირებენ ქვეყნის სხვა ნაწილში. არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა საქართველოს სხვა ნაწილებში დაფუძნებული სსო-ების ორგანიზაციულ შესაძლებლობებსა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სსო-ების ორგანიზაციულ შესაძლებლობებს შორის. საერთაშორისო დონორები ძალიან შეზღუდულ მხარდაჭერას უწევენ სსო-ებს სამხრეთ ოსეთში, ხოლო აფხაზეთში დაფუძნებული ორგანიზაციები შედარებით მეტ მხარდაჭერას იღებენ. აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთთან შედარებით, სსო-ები უფრო გავლენიანნი არიან და უფრო მეტი არეალი აქვთ ფუნქციონირებისთვის. მაგალითად, ჰუმანიტარული დახმარების კომისიამ, რომელიც მოიცავს სამ ადგილობრივ სსო-ს, 2020 წელს განაახლა მუშაობა აფხაზეთის ახალი დე ფაქტო კაბინეტის პირობებში. თუმცა, 2020 წლის ნოემბერში აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ხელი მოაწერა რუსეთთან ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ფორმირების შესახებ პროგრამას. ამის გამო ხელისუფლებამ უნდა განაახლოს ადგილობრივი კანონმდებლობა, მათ შორის კანონები, რომლებიც არეგულირებს სსო-ების მუშაობას და 2021 წლისათვის უნდა შეუსაბამოს ისინი რუსეთში მოქმედ შემზღუდავ კანონს „უცხოელი აგენტების შესახებ“. ჰუმანიტარული პროგრამების ცენტრი, რომელიც არის აფხაზეთში მოქმედი სსო, უფასო იურიდიულ დახმარებას სთავაზობს სოციალურად დაუცველ ადამიანებს სოხუმში და ასევე რეგიონის ეთნიკური ქართველებით დასახლებულ აღმოსავლეთ ნაწილებში. ამავდროულად სამხრეთ ოსეთში უზენაესმა სასამართლომ იანვარში გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი ეთნიკურად ქართველი სამოქალაქო აქტივისტის თამარა მეარაყიშვილის მიმართ რამდენიმე ყალბ ბრალდებაზე. ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს 2020 წელს ქართველ, აფხაზ და სამხრეთ ოსეთის აქტივისტებს შორის ჩართულობის ზრდის ტენდენციას. ასეთი ჩართულობა, უპირველეს ყოვლისა, ხდებოდა ონლაინ რეჟიმში, რადგან კრემლის მიერ მხარდაჭერილი დე ფაქტო ხელისუფლება მთელი წლის განმავლობაში კეტავდა საქართველოში გადასასვლელებს. მაგალითად, გავრცელებული ინფორმაციით, გერმანიის ბერგჰოფის ფონდმა ქართულ და აფხაზ სსო-ებთან ერთად მოაწყო ონლაინ შეხვედრები იმ ქართველ, აფხაზ და ოს სამოქალაქო და სამშვიდობო აქტივისტებს შორის, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს შორის ურთიერთობების ნორმალიზებაზე.

სამართლებრივი გარემო: 3.3

2020 წელს სსო-ების მარეგულირებელი სამართლებრივი გარემო არ შეცვლილა.

მათი რეგისტრაცია ხდება იუსტიციის სახლებში. რეგისტრაციის ღირებულება შეადგენს 100 ლარს (30 ამერიკული დოლარს) და საჭიროა ერთი სამუშაო დღე. გაორმაგებული საფასურის გადახდის შემთხვევაში იუსტიციის სახლები სთავაზობენ იმავე დღეს რეგისტრაციის მომსახურებასაც. მარტის ბოლოს, პანდემიით გამოწვეული ვითარების გამო, ქვეყნის მასშტაბით დაიხურა იუსტიციის სახლები და მომსახურება გადავიდა ონლაინ რეჟიმზე. ამან განაპირობა მათი სერვისების შეფერხებული მიწოდება ერთ თვეზე მეტი ხნით. აღსანიშნავია, რომ სსო-ების გაუქმება მოიცავს უფრო ხანგრძლივ და რთულ პროცედურებს.



საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს გაერთიანების, შეკრების და გამოხატვის თავისუფლებას. საქართველოს კანონმდებლობით, როგორც წესი, სსო-ებს შეუძლიათ თავისუფლად იმოქმედონ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ორგანიზაცია, მაგალითად, ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ინტერსექს (ლგბტი) მოსახლეობასთან მომუშავე ორგანიზაციები აწყდებიან თავიანთი უფლებების რეალიზების პრობლემებს. ასეთ ორგანიზაციებს ძალადობრივი ულტრამემარჯვენე ჯგუფები მუდმივად ემუქრებიან და ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს მათ დაცვას. „თბილისი პრაიდის“ ოფისს, რომელიც ქვიარ მოქალაქეების

შეკრების უფლების მომხრეა, რადიკალური ჯგუფები არაერთხელ დაესხნენ თავს საღებავებითა და კვერცხებით, მის თანამშრომლებს კი მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრნენ. ორგანიზაციის შენობასთან ყოფნის მიუხედავად, პოლიციამ ვერ აღკვეთა სისტემური ძალადობის ეს აქტები.

2020 წელს მთავრობამ გაამკაცრა კონტროლი აქტივისტების არაფორმალური ჯგუფების გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებაზე. თბილისის მერიამ დააჯარიმა ქუჩის ორი მხატვარი აქტივისტი ზიძინა ივანიშვილის, საქართველოს ყველაზე მდიდარი ადამიანისა და მაშინდელი მმართველი პარტიის თავმჯდომარის, რეზიდენციის მახლობლად, გვირაბის კედლებზე ანტისამთავრობო წარწერების გაკეთების გამო და დაჯარიმების მიზეზად კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება დაასახელა. აქტივისტები აცხადებდნენ, რომ ადრე იმავე შენობაზე აპოლიტიკური შინაარსის ქუჩის მხატვრობის განთავსების გამო არ დაჯარიმებულან. პოლიციამ ასევე დააჯარიმა კიდევ ერთი აქტივისტი 2000 ლარით (\$610) მაღალსართულიანი შენობის აივნებიდან იმ ზანერის ჩამოკიდების გამო, რომელიც აპროტესტებდა თბილისის მერიის მიერ ე.წ. უკანონოდ აშენებული სახლების ნგრევას. საკამათო გახდა ისიც, რომ ჯარიმა მივიდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან რამდენიმე დღეში. არადა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გამოხატვის თავისუფლება, რომელიც გამოვლინდა ვიზუალური მედიის კერძო საკუთრებაში განთავსების ფორმით, არ შეიძლება გადაწონილიყო შენობების გარეგნული იერსახის დაცვის პრეტენზიებით. COVID-19-ის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს, მარტიდან მაისამდე, საპროტესტო გამოსვლები და ხანდახან სამზე მეტი ადამიანის შეკრება იზღუდებოდა. აპრილში პოლიციამ 3 000 ლარით (დაახლოებით \$920-ით) დააჯარიმა მამაკაცი, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციის შენობაში გამოჩნდა პანდემიის შეზღუდვების გასაპროტესტებლად. წლის განმავლობაში სსო-ებმა და არაფორმალურმა ჯგუფებმა გამოხატეს შეშფოთება ხელისუფლების მიერ პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების სავარაუდო გამოყენების გამო, რომელიც შეიძლება მიმართული ყოფილიყო, როგორც პროტესტის შეზღუდვის საშუალება 2020 წლის არჩევნების შემდგომ პერიოდში.

მმართველი პარტიის წარმომადგენლები განაგრძობდნენ სსო-ების მუშაობის დელეგიტიმაციას მათი დღის წესრიგის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებით და ამტკიცებდნენ მათ მიკერძოებულობას ყოფილი მმართველი პარტიის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. მაისში Facebook-მა წაშალა მედია პლატფორმა Espersona-ს 730 გვერდი, ანგარიშები და ჯგუფები, რომლებიც, როგორც ამტკიცებდნენ, დაკავშირებული იყო პარტია „ქართულ ოცნებასთან“. ატლანტიკური საბჭოს ციფრული გამოძიების კვლევის ლაბორატორიის (DFRLab) კვლევამ, რომელიც თანამშრომლობდა Facebook-თან და სარგებლობდა წვდომით Espersona-ს ანგარიშებზე, მათ წაშლამდე აჩვენა, რომ ქსელის სამიზნე იყო როგორც ოპოზიცია, ისე აქტივისტთა ჯგუფები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი საშუალებას აძლევს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მოითხოვონ დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) დაბრუნება საგრანტო ხარჯებზე ფინანსური ოპერაციების განხორციელებიდან სამი თვის განმავლობაში. დონორთა წესები დღგ-ს დაბრუნების გამოყენების შესახებ განსხვავებულია - ზოგიერთი მათგანი სსო-ებს საშუალებას აძლევს, დაიბრუნონ თანხა. საქართველოს კანონმდებლობით სსო-ებს აქვთ უფლება, ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში, მაგრამ ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება იმავე განაკვეთით, როგორც ნებისმიერი სხვა კომერციული ორგანიზაციის საქმიანობა. კანონმდებლობა სსო-ებს უკრძალავს, ეკონომიკური საქმიანობა ჩათვალონ თავიანთ ძირითად საქმიანობად.

სსო-ებმა, რომლებიც გეგმავენ საქველმოქმედო საქმიანობებში სპეციალიზაციას, უნდა გაიარონ დამატებითი პროცედურები საქველმოქმედო ორგანიზაციებად რეგისტრირებისთვის. საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის რეგისტრაციისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელია შემოსავლების სამსახურის უფროსი ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით. ამ გადაწყვეტილების მისაღებად შემოსავლების სამსახურს ერთი თვე აქვს. საქველმოქმედო ორგანიზაციები სარგებლობენ დამატებითი საგადასახადო შეღავათებით, მაგრამ ისინი ასევე ექვემდებარებიან მთავრობის შემდგომ შემოწმებას და ვალდებული არიან, წარადგინონ დამატებითი ფინანსური და დამოუკიდებელი აუდიტის ანგარიშები. 2020 წლის ბოლოსთვის 116 საქველმოქმედო ორგანიზაცია ფუნქციონირებდა.

საწარმოების მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შეწირულობის თანხა გაიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან, მაგრამ ის არ უნდა აღემატებოდეს წინა კალენდარული წლის წმინდა მოგების 10%-ს. ინდივიდუალური დონორები არ ექვემდებარებიან გამოქვითვას საქველმოქმედო შემოწირულობებისთვის.

2020 წელს პანდემიის გამო შეჩერდა არაერთი სამართლებრივი ინიციატივა, რომელსაც სსო-ები დიდი ხანის განმავლობაში ადვოკატირებდნენ. სსო-ები კვლავ ელიან იმ ცვლილებების მიღებას, რომლებიც სამთავრობო საგრანტო პროცესის სტანდარტიზაციას უზრუნველყოფს და საშუალებას მისცემს თვითმმართველ ორგანოებს, გასცენ გრანტები და აღიარონ სათემო ორგანიზაციები და სოციალური საწარმოები. ასევე შეფერხდა სოციალური მეწარმეობის შესახებ კანონპროექტის მიღება, რომელიც თავდაპირველად პარლამენტში 2018 წელს დარეგისტრირდა. სექტემბერში ორ ათეულზე მეტმა სსო-მ მიმართა პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს კანონპროექტის მისაღებად, მაგრამ ამ მცდელობამ შედეგი არ გამოიღო.

სსო-ებმა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, იურიდიული კონსულტაციისთვის შესაძლებელია მიმართონ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც უშუალოდ ამ მიმართულებით მუშაობენ, მათ შორის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას, „უფლებები - საქართველოს“.

ორგანიზაციული შესაძლებლობები: 3.9¹

სსო-ების ორგანიზაციული შესაძლებლობები 2020 წელს მცირედად გაუმჯობესდა. ისინი იძულებულნი გახდნენ, შეემცირებინათ პირისპირ აქტივობები და მოქმედების არეალი. მიუხედავად ამისა, მათ აჩვენეს თავიანთი მდგრადობა, მოქნილობა და ადაპტირება პანდემიისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური ვარდნის შედეგად წარმოქმნილ რთულ გარემოებებთან. მაგალითად, სსო-ებმა, რომლებიც ტრადიციულად პრიორიტეტს ანიჭებენ უფლებებზე დაფუძნებულ

¹ ორგანიზაციული შესაძლებლობების ქულა 2018 წელს გადაკალიბრდა, რათა უკეთ ასახავდეს ქვეყანაში არსებულ ვითარებას და უკეთ შეესაბამებოდეს ის რეგიონის სხვა ქულებს.

ადვოკატირებას, დაიწყეს სხვადასხვა სერვისისა და აუცილებელი პროდუქტების მიწოდება იმ თემებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულად დაზარალებულნი პანდემიითა და ჩაკეტივით.

ანალოგიურად, ლგბტი ჯგუფები და მოკავშირეები მობილიზებულნი იყვნენ, რათა უზრუნველყოთ საკვები, ქირის გადასახადი და ფსიქოლოგიური მომსახურება ტრანსგენდერი საზოგადოებისთვის. სსო-ებმა, რომლებსაც უკვე ჰქონდათ სათანადო ცოდნა ტექნოლოგიების თვალსაზრისით, კიდევ უფრო გააფართოვეს კავშირი სხვა ორგანიზაციებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და სამიზნე ჯგუფებთან. სხვებმა გააუმჯობესეს თავიანთი ტექნოლოგიური უნარები, შეისწავლეს ახალი ონლაინ პლატფორმები და დაიწყეს თავიანთი საქმიანობის გაციფრულება.

მიუხედავად იმისა, რომ სსო-ებს ჰქონდათ შესამჩნევი პროგრესი მათი სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირებაში, მათთან გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება ჯერ კიდევ გამოწვევაა, ვინაიდან ამ ორგანიზაციების მუშაობის სპეციფიკა ძირითადად პროექტზე დაფუძნებული ხასიათისაა. ლოქდაუნის გამო სსო-ებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, სამიზნე ჯგუფებთან შეენარჩუნებინათ პირისპირ კომუნიკაცია მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ მოხალისეებმა და სსო-ებმა არაერთი გზით შესთავაზა დახმარება პანდემიით დაზარალებულ ახალ სამიზნე ჯგუფებს.

პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები გამოწვევების წინაშე აყენებდა სსო-ების სტრატეგიულ დაგეგმვასა და პროექტების განხორციელებას. ამის მიუხედავად, ბევრი ორგანიზაცია წარმატებით ადაპტირდა ახალ გარემოებებთან. გაურკვევლობის წინაშე მყოფ სსო-ებს მოუწიათ მრავალი სცენარის მოფიქრება და „აქ და ახლა“ მათი გრძელვადიანი ხედვების დაბალანსება. ბევრი სსო სწრაფად მობილიზდა მთავრობის მხარდასაჭერად COVID-19 კრიზისის მართვაში. მაგალითად, ისინი დაეხმარნენ მთავრობას შორეულ სოფლებში უმცირესობების ენებზე უსაფრთხოების რეკომენდაციების გავრცელებაში. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივის ფარგლებში, USAID-ის მიერ დაფინანსებულმა ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამამ (PITA) მთავრობისთვის მოამზადა საინფორმაციო ბროშურების ნახევარი მილიონი ეგზემპლარი. COVID-19 ჩაკეტვისა და მასთან დაკავშირებული მოგზაურობისა და შეკრების შეზღუდვების გამო ბევრი სსო იძულებული გახდა, გაეუქმებინა ისეთი პროექტები, რომელიც პირისპირ ინტერაქციას მოითხოვდა. თუმცა ბევრმა მათგანმა შეძლო აქტივობების ონლაინ რეჟიმში გადატანა.

მსხვილ სსო-ებს აქვთ კარგად განვითარებული მართვის სტრუქტურები, სტრატეგიები და დაფინანსების მრავალფეროვანი წყაროები, ხოლო მცირე ორგანიზაციები ხშირად მოქმედებენ მხოლოდ პერიოდულად - განსაკუთრებულ შემთხვევებში და მათი არსებობა დამოკიდებულია მათ დამფუძნებლებზე.

2020 წელს, მიუხედავად პანდემიით განპირობებული გამოწვევებისა, უმსხვილესმა სსო-ებმა მოახერხეს პერსონალის შენარჩუნება და გაზრდაც კი. მაგალითად, საარჩევნო მონიტორინგის განმახორციელებელმა სსო-ებმა წამოიწყეს ახალი ადვოკატირებისა და მონიტორინგის პროგრამები არჩევნებისთვის, რამაც მათ ახალი კადრების მოზიდვის საშუალება მისცა. საქართველოს ემიგრაციის ტენდენციები კვლავ უარყოფით გავლენას ახდენს სსო-ების ადმინისტრაციულ შესაძლებლობებზე. მაღალკვალიფიციური კადრების ემიგრაცია ქვეყნიდან და შიდა მიგრაცია სოფლებიდან დედაქალაქ თბილისში პრობლემებს უქმნის სსო-ებს როგორც რეგიონებში, ასევე თბილისში. რეგიონული სსო-ები

ორგანიზაციული შესაძლებლობები საქართველოში




და სათემო ორგანიზაციები განსაკუთრებით ზარალდებიან, რადგან კვალიფიციური კადრები ხშირად გადადიან თბილისში.

მოხალისეებმა გააერთიანეს ძალები, რათა შეექმნათ კონკრეტულ მიზანზე დაფუძნებული, არაფორმალური ჯგუფები და პანდემიის დასაწყისში დახმარებოდნენ მოწყვლად ჯგუფებს. მაგალითად, გაზაფხულზე აქტივისტებმა შექმნეს Facebook-ის ჯგუფი. ჯგუფი აერთიანებდა ადამიანებს, როლებიც ითხოვდნენ დახმარებას და ასევე ადამიანებს, რომლებიც სთავაზობდნენ მათ დახმარებას კომუნალური მომსახურების ხარჯების დაფარვაში. ამ ინიციატივების ხანგრძლივობა და მათი წვლილი სსო სექტორის ზრდაში გამოჩნდება მომავალში, მაგრამ ეს ყველაფერი ნამდვილად მიუთითებს სსო-ების პოტენციალზე.

თბილისში დაფუძნებული სსო-ები ტექნიკური თვალსაზრისით რეგიონებში დაფუძნებულ სსო-ებზე უკეთ აღჭურვილი არიან. რამდენიმე მსხვილი სსო, მაგალითად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ფუნქციონირებს რეგიონულ ოფისებშიც. სასოფლო ტიპის დასახლებებში მოქმედმა ზოგიერთმა ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ინტერნეტის ხარისხი და სიჩქარე მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო მათთვის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით რომ პანდემიის პერიოდში ბევრი ტრენინგი და სხვა ღონისძიებები გადავიდა ონლაინ ფორმატში.

ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა: 5.0



2020 წელს მესამე სექტორის ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა არ შეცვლილა.

სსო-ების აბსოლუტური უმრავლესობა მეტწილად დამოკიდებული რჩება უცხოურ დაფინანსებაზე, რაც გარკვეულწილად საფრთხეს უქმნის მათ მდგრადობას. ევროკავშირი (EU) და USAID ისევ ქვეყნის უმსხვილეს დონორებად რჩებიან. 2020 წელს უცხოურმა დონორმა ორგანიზაციებმა სსო-ების დასახმარებლად რამდენიმე ახალი პროგრამა წამოიწყეს. ევროკავშირმა გამოყო დაფინანსება პროგრამისთვის, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მდგრადობასა და სტაბილურობაზეა ორიენტირებული. პროგრამა მიზნად ისახავს, აღმოსავლეთ პარტნიორობის

ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მესამე სექტორისთვის COVID-ის დაუყოვნებელი და გრძელვადიანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას. ივლისში დაიწყო ოთხწლიანი პროექტი, რომლის ფარგლებშიც გამოიყო ცამეტი დამატებითი გრანტი საქართველოს სსო-ებისათვის, იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარება გაეწია სამ ორგანიზაციას და შვიდმა ორგანიზაციამ მიიღო ტექნიკური მხარდაჭერის გრანტები გაციფრულებისთვის. სექტემბერში USAID-მა ქვეყანაში დეზინფორმაციის აღსაკვეთად დაიწყო ინფორმაციის უსაფრთხოებისა და სანდოობის ხელშეწყობის ხუთწლიანი პროგრამა, რომლის ბიუჯეტიც 7.5 მილიონი აშშ დოლარს შეადგენს. აღნიშნულ პროგრამას ბრიტანეთში დაფუძნებული Zinc Network ხელმძღვანელობს და ქართული და საერთაშორისო ორგანიზაციების კონსორციუმი ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ დონორებმა პანდემიის პირობებში გაზარდეს დაფინანსება სსო-ებისთვის, ჯერაც გასარკვევია, ეს ტენდენცია მომავალ წლებშიც შენარჩუნდება თუ არა.

არსებული პროგრამების მეშვეობით დონორებმა ასევე ხელმისაწვდომი გახადეს დაფინანსება იმ აქტივობებისთვის, რომლებიც უშუალოდ პანდემიას უკავშირდებოდა. USAID-ის დაფინანსებით საქართველოში მიმდინარეობს კანონის უზენაესობის ხელშეწყობის პროგრამა (PROLoG). PROLoG-ის

ფარგლებში ამოქმედდა COVID-19-ზე რეაგირების საგრანტო პროგრამა და გრანტის მიმღებ რვა ორგანიზაციას შორის ოთხი სწორედ სსო იყო. მათი პროექტები მიზნად ისახავდა პანდემიის პირობებში მოსახლეობის დახმარებას, მედიაში COVID-ის შესახებ დეზინფორმაციის აღკვეთას და სასამართლოების მუშაობაზე პანდემიის გავლენის შეფასებას. საქართველოში COVID-19-ის დაწყებისთანავე, USAID-ის ACCESS-ის პროგრამამ გასცა ოცდაორი სწრაფი რეაგირების გრანტი (RRG) საქართველოს სსო-ებზე, სამოქალაქო მოძრაობებსა და მოქალაქეთა ჯგუფებზე, რათა დახმარებოდა მათ პანდემიის შედეგების დაძლევაში.

დონორებმა თავიანთ პარტნიორ სსო-ებს მისცეს საშუალება, გადაეხდათ აქტივობებისა და პროექტის ვადებისათვის პანდემიის პირობებში. სსო-ებმა განაცხადეს, რომ მათ შეძლეს დაეზოგათ ხარჯები დაგეგმილი ღონისძიებების ონლაინ რეჟიმში ჩატარებით. თუმცა, ზოგადად, ეს ღონისძიებები ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა პირისპირ (არადისტანციურ) რეჟიმში ჩატარებულ ღონისძიებებთან შედარებით.

საქართველოში ინდივიდუალური და კორპორატიული ფილანტროპია ჯერ კიდევ განსავითარებელია, თუმცა 2020 წელს ამ მხრივ გარკვეული გაუმჯობესება შეინიშნებოდა. ზოგიერთმა მსხვილი ბიზნესმა, მათ შორის ფინანსურად ძლიერი საბანკო სექტორის ნაწილმა, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ფარგლებში სსო-ებთან თანამშრომლობა დაიწყო. საქართველოს ბანკმა, თიბისი ბანკმა, Caucasus Online-მა და Glovo-მ დაიწყეს პარტნიორობა „ჩართე“ (მიეცი წვდომა ინტერნეტზე) პლატფორმასთან, რომელიც საშუალებას აძლევს კერძო პირებს და კომპანიებს, დაუფინანსონ ინტერნეტი სოციალურად დაუცველ უფროსკლასელებს. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კლუბი (CSR Club), რომელიც შეიქმნა 2015 წელს, 2020 წლიდან გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელს (Global Compact Network Georgia) შეუერთდა და ამჟამად კლუბში ჩართულია ათი სსო. მიუხედავად ამ მაგალითებისა, სსო-ების თანამშრომლობა ბიზნეს სექტორთან მაინც იშვიათია.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხშირად უზრუნველყოფენ სახსრების მოძიებას სოციალური მიზნებისა და საგანგებო სიტუაციებისთვის, მაგრამ ეს ქმედებები გამიზნულია განსაკუთრებული შემთხვევებისთვის და მცირედად მოიცავს გრძელვადიან დაგეგმარებას. ხალხის შემოწირულობით (ე. წ. ქრაუდფანდინგით) შეგროვებული თანხებიც უცხოელი დონორების შემოწირულობებთან შედარებით მოკრძალებულია. ივნისში სსო „ორბელიანმა“ შექმნა თავისი ონლაინ ქრაუდფანდინგის პლატფორმა და ხალხის თანადაფინანსება მოიპოვა პროექტებმა, რომლებიც დაკავშირებულია COVID-19-თან, ეკოლოგიასთან, განათლებასთან და ა. შ. ექვს თვეში პლატფორმამ თხუთმეტი ინიციატივისთვის 35 000 ლარი (დაახლოებით \$10 730) მოიზიდა. დაფინანსების მამიებლებს შეუძლიათ თავიანთი იდეები განათავსონ პლატფორმაზე და ხალხისგან 10 000 ლარამდე (დაახლოებით \$2 800) მოიძიონ.

სხვა წყაროებიდან მიღებული თანხები - მაგალითად, მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავალი და საწევრო გადასახადებიდან შემოსული თანხები, სსო-ების მთლიანი შემოსავლის მცირე წილს წარმოადგენს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი სსო, ფინანსდება საწევრო შენატანებითაც, მაგრამ ასე შეგროვებული თანხა მისი საოპერაციო ხარჯების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ფარავს.

მთავრობას არ აქვს კარგად ჩამოყალიბებული ერთიანი პოლიტიკა მესამე სექტორის დაფინანსების კუთხით. სსო-ებს, განსაკუთრებით სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, არ სურთ დაფინანსებისთვის მიმართონ მთავრობას, რათა არ ჰქონდეს ადგილი პარტიულ გავლენას და პროცესის გამჭვირვალობის შეზღუდვას. საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა 2020 წელს განაგრძო სახელმწიფო სახსრების განაწილება სსო-ებისთვის. ცენტრმა დააფინანსა ორმოცდაოთხი სსო, რათა მათ აემაღლებინათ ამომრჩეველთა ცნობიერება ოქტომბრის არჩევნების წინ. ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ ეს თანხები გადაეცათ მთავრობის მიერ შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციებს (GONGOS). ადგილობრივ თვითმმართველობებს სსო-ებისთვის გრანტების გაცემაზე იურიდიული უფლებამოსილება არ გააჩნიათ.

ინსტიტუციურად ძლიერი სსო-ები, რომლებიც, როგორც წესი, დაფუძნებულია თბილისში, იყენებენ ფინანსური მართვის მოწინავე სისტემებს და ჰყავთ სპეციალიზებული პერსონალი. თუმცა მცირე ორგანიზაციებს ასეთი სისტემები არ გააჩნიათ. საქართველოში მხოლოდ ზოგიერთი სსო ატარებს დამოუკიდებელ აუდიტს და აქვეყნებს შედეგებს.

ადვოკატირება: 3.5

სსო-ების ადვოკატირება ოდნავ გაუმჯობესდა 2020 წელს, თუმცა ადვოკატირების კონტექსტი და გარემო-პირობები კვლავ რთულია. მიუხედავად ხელისუფლების მუდმივი კრიტიკისა მოწინავე სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ, ხელისუფლება ფორმალურად ღია რჩება სსო-ებთან პარტნიორობისთვის და მათი ინიციატივების მოსმენისთვის. ეს თანამშრომლობა ხშირად რეალურ შედეგებს არ იძლევა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე ეხება პოლიტიკურად სენსიტიურ საკითხებს. სსო-ებს კვლავაც ფართოდ იწვევენ სხვადასხვა სამთავრობო სამუშაო ჯგუფებში, საბჭოებსა და საკონსულტაციო შეხვედრებზე მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ მათ შენიშნეს იშვიათად ითვალისწინებენ გადაწყვეტილების მიღებისას.



მიუხედავად ამ სისტემური დაბრკოლებებისა, სსო-ები კვლავ უჭერდნენ მხარს სხვადასხვა საკითხს, მათ შორის Facebook-ის ე.წ. სარეკლამო ბიბლიოთეკის (Facebook Ad Library) შემოღებას, რათა არჩევნების წინ ქართველების რჩეულ სოციალურ მედია პლატფორმაზე პოლიტიკური პარტიების რეკლამა უფრო გამჭვირვალე ყოფილიყო. ადვოკატირების კიდევ ერთმა წარმატებულმა კამპანიამ განაპირობა ის, რომ Facebook-მა სექტემბერში გააფართოვა ფაქტების გადამოწმების პროგრამა საქართველოში. ამ პროგრამის ფარგლებში ორი ადგილობრივი სსო - მედიის განვითარების ფონდის პროექტი „მითების დეტექტორი“ და საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) პროგრამა „Factcheck.ge“ - იზრუნებს, რომ პლატფორმაზე შეიზღუდოს დეზინფორმაციის გავრცელება.

სსო-ები მხარს უჭერდნენ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას. გარდა ამისა, საარჩევნო კოდექსში შევიდა გენდერული კვოტირების მექანიზმის ცვლილება, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ელოდნენ. არჩევნების შემდეგ სსო-ებმა ისაუბრეს გასაჩივრებისა და აპელაციის პროცესში გამოვლენილ მთელ რიგ ხარვეზებზე.

2020 წელს პრობლემურ სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედმა სსო-ებმა საერთაშორისო ყურადღება მიიპყრეს. თებერვალში საქართველოში ვიზიტის დროს, USAID-ის ადმინისტრატორის მოადგილემ ბონი გლიკმა მოუწოდა პარლამენტს, გაეთვალისწინებინა სამოქალაქო საზოგადოებისა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) რეკომენდაციები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის პროცესის გასაუმჯობესებლად. ნოემბერში, თბილისში მისი ხანმოკლე ვიზიტის დროს, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხის განსახილველად სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. აშშ-ის 2021 წლის კონსოლიდირებული ასიგნებების აქტი, რომელსაც 2020 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მოაწერა ხელი, საქართველოს დასახმარებლად 132 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს. თუმცა განმარტეს, რომ თანხის გაცემა ქვეყანაში კანონის უზენაესობისა და ანგარიშვალდებულო ინსტიტუტების მდგომარეობაზე იქნებოდა დამოკიდებული.

გარემოსდაცვითმა სსო-ებმა და არაფორმალურმა აქტივისტებმა ყურადღება გაამახვილეს იმერეთის რეგიონში ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის სადავო მშენებლობის საკითხზე, ისინი ადგილზე მართავდნენ დემონსტრაციების და ასევე აქტიურობდნენ სოციალური მედიის საშუალებით. გარდა ამისა, საია-მ სასამართლოში აღძრა საქმე პროექტის შეჩერების მოთხოვნით. ნოემბერში პოლიციამ დაარბია მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელიც სამშენებლო მოედანთან არსებულ გზატკეცილს ბლოკავდა. სსო-ებმა დაგმეს მთავრობის ქმედება დიალოგის ნაცვლად დემონსტრანტების მიმართ გამოვლენილი ზეწოლის გამო.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები აგრძელებენ დეცენტრალიზაციის რეფორმის ლობირებას, მხარს უჭერენ შესაძლებლობების გაზრდას ადგილობრივი ხელისუფლებებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ უმეტესად დამოკიდებულნი არიან თბილისში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მცდელობები დღემდე წარუმატებელია, რიგი მსხვილი პროექტისა წარმატებით უჭერს მხარს ადგილობრივ აქტივიზმს, თანამონაწილეობრივ ადვოკატირებას და განვითარებას საქართველოს რეგიონებში. მაგალითად, ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD) საშუალებას აძლევს ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებს (LAGs), ჩაერთონ სოფლის განვითარების სტრატეგიების დაგეგმარებასა და განხორციელებაში.

მედიის თავისუფლება სსო-ებისთვის 2020 წელს ცენტრალურ საკითხად დარჩა. მედიის ადვოკატირებისთვის შექმნილმა კოალიციამ, რომელიც შედგება ათეული ორგანიზაციისგან, მიმართა საერთაშორისო საზოგადოებას „საგანგაშო პროცესების“ გამო. მათ შორის ერთი საკითხი ეხებოდა ბათუმში მოქმედ აჭარის ტელევიზიას, სადაც მთავრობისადმი კეთილგანწყობილმა დირექტორმა ტელევიზიაში რამდენიმე ძირითადი ჟურნალისტი და წამყვანები გაათავისუფლა. კოალიციამ ასევე მოუწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მიეღო გადაუდებელი ზომები პანკისის ხეობაში ჟურნალისტების საქმიანობაში ჩარევის თავიდან ასაცილებლად, სადაც ადგილობრივმა რადიომ ძალადობრივი მუქარები მიიღო. ვარაუდობდნენ, რომ ზოგიერთი მათგანი მმართველი პარტიის ადგილობრივი წარმომადგენლებისგან იყო.

სექტემბერში პარლამენტმა მიიღო შრომის კოდექსის ყოვლისმომცველი პაკეტი, რომელმაც გააფართოვა შრომითი უფლებები და შრომის ინსპექციის მანდატი. ცვლილებები ნაწილობრივ ჩამოყალიბდა სსო-ების ხელმძღვანელობითა და გამოცდილებით. ცვლილებებმა საქართველოს კანონები მოიცვანა შესაბამისობაში მის ევროპულ და საერთაშორისო ვალდებულებებთან. ისინი ასევე მოიცავდა კონკრეტულ რეკომენდაციებს სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისგან.

თერთმეტმა სსო-მ სახალხო დამცველის აპარატთან ერთად ჩაატარა ადვოკატირების კამპანია და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წარუდგინა უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ალტერნატიული ანგარიში, რომელიც მიზნად ისახავდა რეკომენდაციების მიწოდებას საერთაშორისო პარტნიორებისა და დიპლომატიური კორპუსისთვის. ჯგუფმა ჩამოთვალა რიგი პრობლემატური საკითხები, რომლებიც ეხება სექსუალურ და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებებს, სოციალურ-ეკონომიკური უფლებებს, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებს, პატიმრებს, ქალებს, ლგბტი ადამიანებს, ბავშვებს, რელიგიურ თავისუფლებას, მიგრანტების უფლებებს და ასევე სასამართლოს დამოუკიდებლობას.


ევროკავშირმა ბოლო მოხსენებაში აღნიშნა სამოქალაქო საზოგადოების აქტიური როლი და ჩართულობა საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების მონიტორინგში, მათ შორის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) აღსრულებაში, პოლიტიკის ფორმულირებასა და მთავრობის პასუხისმგებლობის დაკისრებაში, მათ შორის ადგილობრივ დონეზე.

მიუხედავად ამ წარმატებული მაგალითებისა, შეინიშნება მთავრობასა და სსო-ებს შორის კავშირის ზოგადი ნაკლებობა და კონსტრუქციული თანამშრომლობის სიმცირე ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სასამართლო დამოუკიდებლობა, საარჩევნო რეფორმები და ადამიანის უფლებები. სსო-ების ქსელები და ქოლგა ორგანიზაციები, როგორც წესი, მთავრობას მიმართავენ ღია წერილებითა და

განცხადებებით. ორ სექტორს შორის დიალოგი ხშირად ფორმალურად იმართება და არა მთავრობის ქვეყნის სურვილის გამო, რომ გაითვალისწინოს სსო-ს მოსაზრებები.

სსო-ები, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, კვლავ განაგრძობდნენ ადვოკატირებას სექტორის სამართლებრივი გარემოს გასაუმჯობესებლად. თუმცა, პანდემიამ, მწვავე საპარლამენტო არჩევნებმა და 2020 წლის მიმდინარე პოლიტიკურმა კრიზისმა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და დონორების ყურადღების უმეტესი ნაწილი მიიპყრო და ამან შეაჩერა ადვოკატირების პროცესიც.

სერვისის მიწოდება: 4.0



სერვისის მიწოდების ხარისხი 2020 წელს ოდნავ გაუმჯობესდა.

სსო-ებმა სწრაფად ირეაგირეს პანდემიით გამოწვეულ საჭიროებებზე და გაზარდეს სერვისები საზოგადოებრივი ჯანდაცვის უპრეცედენტო კრიზისის დროს. მაგალითად, ევროკავშირის მხარდაჭერით, ქალთა საინფორმაციო ცენტრმა და მისმა პარტნიორმა სსო-ებმა წამოიწყეს პროგრამა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდასაჭერად, რომელთა რიცხვიც, როგორც ვარაუდობენ, გაიზარდა პანდემიისა და ლოქდაუნის პირობებში.

ზოგადად, სსო სერვისები დიდწილად

ორიენტირებულია სოციალურ სერვისებსა და უფასო იურიდიულ დახმარებაზე, მაგრამ სულ უფრო და უფრო ხშირად გვთავაზობენ ახალ სერვისებსაც, მათ შორის ფსიქოლოგიურ, სამედიცინო და სოციალური სამუშაოს მხარდაჭერა სერვისებს. მაგალითად, თანასწორობის მოძრაობამ, ლგბტი უფლებების დამცველმა ჯგუფმა, გააფართოვა აივ პრევენციის პროგრამა - „პროფილაქტიკა კონტაქტად“ (PrEP) და 2020 წელს პროგრამის ბენეფიციარებს შესთავაზა B ჰეპატიტის უფასო ვაქცინაცია.

ბევრი თვლის, რომ არსებობს შეუსაბამობა სსო-ების სამოქმედო ფოკუსსა და საზოგადოების საჭიროებებს შორის. მათი თქმით, სსო-ები აქცენტს აკეთებენ კარგი მმართველობის ადვოკატირებაზე მაშინ, როცა საზოგადოების მთავარი ინტერესი და საჭიროება უმუშევრობას და სოციალურ კეთილდღეობას უკავშირდება. თუმცა, ზოგადად, სსო სერვისებისა და აქტივობების უმეტესობა ეფექტურად პასუხობს ადგილობრივ საჭიროებებს. საჭიროებების შეფასებას, როგორც წესი, ატარებენ როგორც დონორები, ისე მისი განმანათლებლებელი პარტნიორები. ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის სსო-ები იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათ შორის გამოკითხვების მეთოდს, ინტერვიუებსა და კონსულტაციებს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან. ზოგიერთი უშუალოდ მიმართავენ სამიზნე ჯგუფებს, მათ შორის საჯარო შეხვედრების გზით.

პანდემიის დაწყებისას არაფორმალური ჯგუფები უფრო აქტიური და თვითორგანიზებული გახდნენ, დონორთა მხარდაჭერის გარეშე კი. მარტსა და აპრილში, ეთნიკურად აზერბაიჯანელი აქტივისტების ჯგუფმა „სალამ“ სამხრეთ მუნიციპალიტეტებში ეთნიკურად აზერბაიჯანულ თემებს მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია პანდემიისა და შეზღუდვების შესახებ მათ მშობლიურ ენაზე. ორმოცდაათობეჭტმა მასწავლებელმა და აქტივისტმა მიიღო მონაწილეობა პროექტში „მოხალისე მასწავლებელი“. პროექტის ფარგლებში ისინი დაწყებითი და საშუალო სკოლის 500-ზე მეტ მოსწავლეს სთავაზობდნენ ორმოცდასამ სხვადასხვა კურსს, მათ შორის საგანმანათლებლო კურსებს ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა მათემატიკა, ინგლისური, კინო და სხვა. აქტივისტების

ჯგუფმა, მათ შორის უბრალო მოქალაქეებმა და ოფიციალურმა სსო-ებმა, წარმატებით განახორციელეს კამპანია ტრანსგენდერი სექსმუშაკების დასახმარებლად, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალებულნი გაზაფხულზე დაწესებული ორთვიანი შეზღუდვებით და კომენდანტის საათის არსებობით. შემოწირულობებით ეხმარებოდნენ რამდენიმე ათეულ ტრანსგენდერ ქალს, აწვდიდნენ საკვებს და უზბიდნენ ქირის საფასურს. ეს ყველაფერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის ფონზე, რომ მთავრობას არაადეკვატური პოლიტიკა ჰქონდა საცხოვრებლის, დასაქმებისა და ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

უცხოურმა დონორმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს სსო-ების სხვადასხვა აქტივობას პანდემიის საჭიროებებზე რეაგირებისთვის. სხვა აქტივობებთან ერთად, USAID-ის ACCESS პროგრამის მიერ გაცემული სწრაფი რეაგირების გრანტები მხარს უჭერდა ინიციატივებს, რომლებიც ეხმარებოდნენ დაუცველ ჯგუფებს და აძლიერებდნენ სამედიცინო პერსონალის შესაძლებლობებს. USAID-ის PITA-ს პროექტმა გადაამზადა ეთნიკური უმცირესობების სკოლების მასწავლებლები ონლაინ სწავლებისათვის მაშინ, როცა საგანმანათლებლო სისტემა მთელი წლით დაიხურა. გაეროს განვითარების პროგრამისა და დიდი ბრიტანეთის დაფინანსებით, საქართველოს გაეროს ასოციაციამ (UNAG) ითანამშრომლა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან (NCDC), რათა საქართველოს მთავრობისთვის შეემუშავებინათ რისკების კომუნიკაციის ეროვნული სტრატეგია. სტრატეგია ფოკუსირებულია როგორც კრიზისულ, ასევე პოსტკრიზისულ საჭიროებებზე. USAID-ის დაფინანსებით, UNAG ასევე დაეხმარა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს უმცირესობათა ენებზე COVID-ის შესახებ ინფორმაციის შემცველი ბროშურის 300 000-ზე მეტი ასლის დაბეჭდვასა და გავრცელებაში.

ზოგიერთი სსო მომხმარებელს სთავაზობს ფასიან სერვისებსაც - მაგალითად, ისეთებს, როგორებიცაა ტრენინგი, ქოუჩინგი და სხვადასხვა ტიპის მასტერკლასები სხვა ორგანიზაციებისთვის, მათ შორის ბიზნესისთვის. ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი (CTC) და „პარტნიორები - საქართველო“ სხვა ორგანიზაციებთან ერთად უტარებენ ტრენინგსა და საკონსულტაციო მომსახურებას როგორც ქართულ, ისე უცხოურ კომპანიებს და ამ გზითაც იღებენ შემოსავალს. ზოგადად, სსო-ებს არ აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ საკმარისი და სტაბილური შემოსავალი თავიანთი მომსახურების გაყიდვით. აღსანიშნავია, რომ სსო-ები თავიანთ პუბლიკაციებს, პოლიტიკის დოკუმენტებს, კვლევის ანგარიშებს და სახელმძღვანელოებს სხვა სსო-ებს, სამთავრობო უწყებებსა და სამეცნიერო წრეებს უფასოდ სთავაზობენ. სექტორი თავის მომსახურებას უწევს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს დისკრიმინაციის გარეშე.

მთავრობა აღიარებს სსო-ებისა და მათი სერვისების ღირებულებას, მაგრამ მხოლოდ კონკრეტულ საკითხებში. ძალიან ხშირია, როდესაც სხვადასხვა სამთავრობო უწყებები თანამშრომლობს ადგილობრივ სსო-ებთან. ზოგჯერ ამ ორ სექტორს ერთად შეაქვთ განაცხადი ისეთ საგრანტო კონკურსებში, რომლებიც ეხება ახალგაზრდებს, დასაქმებას, ჯანდაცვას და სხვა არაპოლიტიკურ საკითხებს. თუმცა სულ უფრო და უფრო რთულია თანამშრომლობის მსგავსი დონის მიღწევა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა სასამართლო სისტემა, სამართალდამცავი ორგანოები, საარჩევნო რეფორმა ან სხვა სადავო თემები საქართველოში.


დარგობრივი ინფრასტრუქტურა: 4.1

სსო სექტორის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა ზომიერად გაუმჯობესდა 2020 წელს. მათ გააძლიერეს თავიანთი ქსელები, თანამშრომლობა და ძალისხმევა მიმართეს გრძელვადიან საკითხებზე. თუმცა კვლავ დომინირებს კონკრეტულ მომენტში კონკრეტულ მიზნებზე მიმართული ინიციატივები.

სსო-ები მთელი წლის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი მრავალ თემატურ კოალიციაში. “კოალიცია მედიის ადვოკატებისთვის”, რომელიც აერთიანებს საიას, მედია კლუბს,

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, ღია საზოგადოების ფონდს (OSGF) და რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსს, აგრძელებდა მედიის თავისუფლების ადვოკატირებას გაუარესებული და უადრესად პოლარიზებული მედია გარემოს ფონზე. „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლოსთვის“, რომელიც აერთიანებს ორმოცზე მეტ სამოქალაქო ორგანიზაციას, მათ შორის OSGF-ს, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, საიას, „უფლებები - საქართველოს“ და ევროპის ფონდს, იბრძვის სასამართლო რეფორმისთვის. კოალიციების მუშაობა გრძელდება არარეგულარულად და მეტწილად პროექტებზე ორიენტირებულია. სასურველია, კიდევ უფრო გაუმჯობესდეს თანამშრომლობა როგორც სხვადასხვა კოალიციებს შორის, ისე მის ფარგლებში.

ევროკავშირის მხარდაჭერით, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) თანამშრომლობს რეგიონულ სსო-ებთან, რათა გახსნას ინოვაციური ჰაბები გორში, ნინოწმინდასა და ახმეტაში და ადგილობრივ ახალგაზრდებს შესთავაზოს სივრცე თანამედროვე აღჭურვილობით. გარდა ამისა, CENN-ის ხელმძღვანელობით რეგიონებში წარმოდგენილია ათი კეთილმოწყობილ „ეკო-ჰაბი“ საერთო სამუშაო სივრცით. USAID-ის PITA პროგრამის ფარგლებში UNAG-მა აამოქმედა თოთხმეტი ახალგაზრდული ცენტრი მთელი ქვეყნის მასშტაბით - ორი დედაქალაქში და თორმეტი რეგიონებში. ცენტრები თავისუფალ სივრცეს და აქტივიზმის შესაძლებლობებს სთავაზობს ახალგაზრდებსა და ახალგაზრდულ სსო-ებს.



USAID-ის მიერ მხარდაჭერილი დემოკრატიული ჩართულობის ცენტრები (CCEs), რომლებიც განლაგებულია რეგიონის ათ დიდ ქალაქში, მოსახლეობას სთავაზობს სხვადასხვა სერვისს, მათ შორის შეხვედრების ოთახის დაქირავებას, ღონისძიებების დაგეგმვას, კვების და ფოტო-ვიდეო გადაღების მომსახურებას. ცენტრები რეგიონულ სსო-ებს მომსახურებას უწევენ უფასოდ, ხოლო თბილისში დაფუძნებულ ორგანიზაციებს ეკისრებათ გადასახადი. საარჩევნო პერიოდში ცენტრები სთავაზობდნენ სივრცეს სსო-ებს, საარჩევნო ადმინისტრაციას და ადგილობრივ ხელისუფლებას. ქსელმა ასევე შესთავაზა სივრცე პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს პარტიების პროგრამების წარდგენისთვის და საარჩევნო პროცედურების შესახებ საინფორმაციო ღონისძიების ჩატარებისთვის. პანდემიის დროს CCE-ებმა გამოიყენეს თავიანთი ფართო ლოკალური ქსელები, რათა დახმარებოდნენ მთავრობას, სსო-ებს და კერძო სექტორს მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებაში რეგიონის მოსახლეობასთან.

არსებობს რამდენიმე ადგილობრივი გრანტის გამცემი სსო, მათ შორის ქალთა ფონდი, OSGF და ევროპის ფონდი. მაგალითად, ქალთა ფონდმა გასცა გრანტი ათ სსო-სთვის და საინიციატივო ჯგუფისთვის მდგრადი ფემინისტური მოძრაობის მხარდასაჭერად. გარდა ამისა, COVID-19-ზე სწრაფი რეაგირების პროგრამის ფარგლებში დამატებით ცამეტი გრანტი გასცა სსო-ებისა და დამოუკიდებელი სამოქალაქო აქტივისტებისთვის როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები დამოკიდებულნი არიან უცხოურ დონორ ორგანიზაციებზე, რათა კვლავ შეძლონ გრანტის გაცემა.

პანდემიის დროს სსო-ებისთვის გაიზარდა წვდომა ტრენინგებზე, თუმცა ონლაინ რეჟიმში. CTC-მ შესთავაზა ონლაინ კურსები სსო-ებს სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების, ორგანიზაციული ხელმძღვანელობისა და პროექტის ლოგისტიკის შესახებ. დეკემბერში სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა (CSRDG) გამოაცხადა კონკურსი სოციალური საწარმოებისთვის ტექნიკური დახმარების შეთავაზების მიზნით. პროგრამის მეშვეობით, CSRDG სამ ან ოთხ საწარმოს შესთავაზებს

დახმარებას მარკეტინგისა და ბრენდინგის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ბიზნეს დაგეგმვის, წარმოების განვითარების, კრიზისების მენეჯმენტის და სხვა სფეროებში.

რამდენიმე სსო სხვა ორგანიზაციებს პრო ბონო მომსახურებას სთავაზობს. აუდიტის საკონსულტაციო ჯგუფმა (ACG) სათემო ორგანიზაციებს შესთავაზა ტრენინგი Zoom-ის საშუალებით საგადასახადო და ბუღალტრული აღრიცხვის თემაზე, პოლიტიკისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო ჯგუფმა (PMCG) გამართა ვებინარი Microsoft Teams-ის გამოყენების შესახებ, ხოლო ანალიზისა და კონსულტაციის გუნდმა გამართა პრო ბონო ვებინარი Zoom-ის ვიდეო კომუნიკაციების გამოყენების შესახებ. “პრო ბონო ქსელი - საქართველოს” მეშვეობით სსო-ები წარმატებით თანამშრომლობენ ბიზნესებთან, რათა სხვა სსო-ებს შესთავაზონ უფასო მომსახურება და გაუზიარონ თავიანთი ცოდნა.

არჩევნების წინ შესამჩნევი იყო სექტორთაშორისი თანამშრომლობა. წინასაარჩევნო პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), სსო-ებთან და სხვებთან ერთად ხელმძღვანელობდა ამომრჩეველთა განათლების კამპანიას. ცესკომ და სამოქალაქო საზოგადოებამ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების პრევენციის შესახებ. ცესკო-მ და ადგილობრივმა სადამკვირვებლო სსო-ებმა ასევე შეიმუშავეს ეთიკის კოდექსი, რომლის მიხედვითაც ისინი ვალდებული არიან, დაიცვან საქართველოს კანონები და საერთაშორისო პრაქტიკა არჩევნებზე დაკვირვებისას. თუმცა დაპირისპირება გაიზარდა მას შემდეგ, რაც მთავარმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა მკაცრად გააკრიტიკეს ცესკოს მიერ მონაცემების გამოქვეყნება და სააპელაციო პროცესის მართვა. სსო-ებმა ბოიკოტი გამოუცხადეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორის კომისიას, რომელიც იკვლევდა სავარაუდო საარჩევნო დარღვევებს. სსო-ებმა გააკრიტიკეს კომისია მიუკერძოებელი გამომიების შეუსრულებლობის გამო, ხოლო კომისია ადანაშაულებდა სსო-ებს საგამომიებო პროცესის შეფერხებაში.

სსო-ები ასევე თანამშრომლობენ სხვა სექტორთან სხვადასხვა საკითხზე. ქვეყნის მასშტაბით ENPARD-ით დაფინანსებული თორმეტი LAG აგრძელებს თანამშრომლობას, რომლის ფარგლებშიც სამოქალაქო საზოგადოებას, კერძო სექტორს და მთავრობას შეუძლიათ ერთად იმუშაონ სოფლად მცხოვრები ოჯახების ცხოვრების გასაუმჯობესებლად ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის გზით. 2020 წელს რამდენიმე სსო-მ, აქტივისტმა და დამოუკიდებელმა პროფკავშირებმა დააარსეს სამართლიანი შრომის პლატფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში შრომითი უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობას.

საჯარო იმიჯი: 3.9



2020 წელს გაუმჯობესდა სსო-ების საჯარო იმიჯი, მიუხედავად ISFED-ის გარშემო არსებული დაპირისპირების გამო მიყენებული ზიანისა. გაუმჯობესება ძირითადად განპირობებულია სსო-ების პანდემიაზე სწრაფი რეაქციით და მცდელობებით, შეავსონ სახელმწიფო დახმარება საჭიროების შემთხვევაში. კავკასიის ბარომეტრის მიერ 2020 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, ქართველი რესპონდენტთა 24%-მა განაცხადა, რომ ენდობა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რაც წინა წლის 20%-თან შედარებით გაზრდილი მონაცემია. ამის საპირისპიროდ, 2020 წელს 22%-მა თქვა, რომ უნდობლობას უცხადებს არასამთავრობო

ორგანიზაციებს მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 2019 წელს 25%-ს შეადგენდა. 21%-მა კითხვაზე

უპასუხა, რომ არ იცის. ეს ხაზს უსვამს იმას, რომ სსო-ებმა უნდა გასწიონ ძალისხმევა, რათა გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერება მათი საქმიანობის შესახებ.

მედია სულ უფრო ხშირად სთავაზობს საეთერო დროს სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს. ისმენენ მათ ექსპერტულ ხედვას და ადვოკატირებას, მათ შორის საარჩევნო რეფორმის, სასამართლოს დამოუკიდებლობის, ადამიანის უფლებებისა და მთავრობის გადაწყვეტილებების საკითხებზე. სსო-ები ხშირად წარმოდგენილი არიან მედიაში მათი პოზიციის დასაფიქსირებლად ისეთი საკითხებზე, როგორებიცაა ქალთა უფლებები, გარემოსდაცვითი საკითხები, ლგბტ პირთა უფლებები და შრომითი უფლებების რეფორმა. თუმცა მაშინ, როდესაც დამოუკიდებელი და ოპოზიციური მედია საშუალებები იწვევენ სსო-ების წარმომადგენლებს, მონაწილეობა მიიღონ დებატებში სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე, საქართველოს ძალზე პოლარიზებული მედია სპექტრის მეორე მხარეს მყოფი სამთავრობო საშუალებები ნაკლებად რთავენ ამ აქტორებს მათ გადაცემებში.

მიუხედავად იმისა, რომ სსო-ები მოწოდებულნი არიან, მიაწოდონ მაღალი ხარისხის მომსახურება, მათთვის გამოწვევაა ფართო აუდიტორიაზე გასვლა, მაშინაც კი, როდესაც მათ აქვთ საჭირო ფინანსური რესურსები არეალის გასაფართოებლად. ხშირ შემთხვევაში ეს იმიტომ ხდება, რომ მათი შედეგები, მათ შორის განცხადებები, პოლიტიკის დოკუმენტები, რეკომენდაციები და კვლევის ანგარიშები, ნაკლებად არის მორგებული თანამედროვე მედიის ძირითად საშუალებებზე, მათ შორის სოციალურ მედიაზე.

არჩევნების მონიტორინგის კონტექსტში, სახელმწიფოს მიერ შექმნილი/დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები (GONGOS) და პრო-სამთავრობო მედია მოსახლეობას სთავაზობენ ალტერნატიულ ნარატივებს, შემცირებულად წარმოდგენენ არჩევნების დამოუკიდებელი დამკვირვებლების მუშაობას და დასკვნებს. მაშინ, როდესაც დამკვირვებლებმა ხაზი გაუსვეს საარჩევნო პროცესში სერიოზულ ხარვეზებზე, აღნიშნულმა ორგანიზაციებმა ისაუბრეს კანონების უმნიშვნელო პროცედურულ დარღვევაზე და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს დამოუკიდებელი სსო-ების მუშაობა.

სსო სექტორში მიკერძოებულობის საკითხი უფრო შესამჩნევი გახდა 2020 წლის არჩევნების კონტექსტში, როდესაც მმართველი პარტია „ქართული ოცნება“ და უმსხვილესი ოპოზიციური საარჩევნო ბლოკი ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობით აყენებდნენ ბრალდებებს პარტიებთან დაკავშირებული იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ არჩევნების დამკვირვებლად. ორივე პარტია ამტკიცებდა, რომ არჩევნების მონიტორინგის წარმმართველი 132 სსო-დან სულ მცირე 60 მიკერძოებული იყო.

მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობა მთელი წლის განმავლობაში უარესდებოდა. ივნისში ორმოცდაათზე მეტმა ორგანიზაციამ საჯაროდ გააკრიტიკა მთავრობის მიერ იმდროინდელი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის სოფიო კილაძის წარდგენა გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტში. ისინი ხაზს უსვამდნენ მის საეჭვო გამოცდილებას, რაც მათ შორის მოიცავდა სავარაუდო ჰომოფობიურ შეხედულებებს და უმცირესობების უგულვებელყოფას. დამატულობა გამწვავდა მას შემდეგ, რაც გერმანიის ელჩმა სსო-ები გაკიცხა კილაძის წინააღმდეგ „პირადი ხასიათის თავდასხმების“ გამო. სსო-ებმა უარყვეს ელჩის შენიშვნები და აღნიშნეს, რომ „ასეთი დამოკიდებულება საფრთხეს უქმნის სამოქალაქო საზოგადოების შეუზღუდავ მუშაობას“. სსო-ები ასევე უპირისპირდებოდნენ ხელისუფლებას პრესის თავისუფლების საკითხზე, ასევე სახელმწიფო ინსპექტორის, მთავარი პროკურორის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების საკამათო დანიშვნებზე პანდემიით განპირობებული ჩაკეტვის ფონზე.

მმართველი პარტიის წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერით სადამკვირვებლო სსო-ები ხელს უწყობდნენ დამატულობის გამძაფრებას ქვეყანაში, ხოლო ქართული ოცნების დეპუტატი კი ამტკიცებდა, რომ სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს ნაციონალური მოძრაობა აკონტროლებდა. სსო-ების მიმართ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი ოპოზიციის წარმომადგენლებიც, განსაკუთრებით ISFED-ის შემთხვევის შემდეგ. ოპოზიციური ლეიბორისტული

პარტიის ლიდერმა იმის ვარაუდიც კი გამოთქვა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ფაქტობრივად სამთავრობო სექტორის ნაწილი იყვნენ და მათ მიყიდდნენ თავს, ვინც მეტს გადაუხდიდათ. წინასწარჩევნო მონიტორინგმა ანტიდასავლური დისკურსისა და პოლიტიკური აქტორების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შესახებ დაადასტურა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხშირად ხდებოდნენ ანტიდასავლური ნარატივების სამიზნე. ულტრამემარჯვენე პოლიტიკურმა ჯგუფებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ არჩევნებში, მოითხოვეს რუსული სტილის შეზღუდვები სსო-ების უცხოური დაფინანსების საკითხზე.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ივნისში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტთა 37% სრულად ან ნაწილობრივ ენდობოდა სსო-ებს COVID-19-თან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ, 18% სრულად ან ნაწილობრივ არ ენდობოდა მათ, როგორც პანდემიის შესახებ განახლებული ინფორმაციის წყაროს და 39%-მა თქვა, რომ მათ არ მიუღიათ ინფორმაცია COVID-19-ის შესახებ სსო-ებისგან. შედარებისთვის, COVID-19-ის შესახებ ინფორმაციასთან მიმართებით 90% სრულად ან ნაწილობრივ ენდობოდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს (NCDC), 73% სრულად ან ნაწილობრივ ენდობოდა მედიას/ჟურნალისტებს და 61% სრულად ან ნაწილობრივ ენდობოდა ეკლესიას/რელიგიურ ლიდერებს.

კომერციული სექტორი „სოციალურად დისტანცირებულია“ არაკომერციული სექტორისგან, თუმცა COVID-19 კრიზისმა განაპირობა მათი დადებითი ინტერაქცია. მაგალითად, „ერთიანობა“ (ერთობა, lanoba.ge) იყო ხანმოკლე, მაგრამ ფართოდ წარმატებული საქველმოქმედო პლატფორმა, რომელიც ერთობლივად შეიქმნა COVID-19-ის პირველადი გავრცელების საპასუხოდ „აჭარა ჯგუფის“ (საქართველოს სტუმარ-მასპინძლობის გიგანტის), საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (ადგილობრივი სსო) და სხვა ორგანიზაციების წამყვანი ფიგურების მიერ.

საქართველოში ინტერნეტის მოხმარება სტაბილურად იზრდება. ოჯახების 83%-ს აქვს წვდომა ინტერნეტზე, ხოლო ქსელში ჩართულთა 95% დარეგისტრირებულია სოციალურ ქსელებში. სსო-ების აქტივობა სოციალურ მედიაში იზრდება, განსაკუთრებით იმის გამო, რომ პანდემიის შედეგად ბევრი სამუშაო გადავიდა ონლაინ ფორმატში. ქართული სსო-ები, განსაკუთრებით დამკვირვებელი ჯგუფები, სულ უფრო ხშირად იყენებენ Twitter-ს იმ საერთაშორისო აუდიტორიასთან დასაკავშირებლად, რომელიც საქართველოთია დაინტერესებული. თუმცა ბევრ სსო-ს აკლია მოტივირებული პერსონალი, რომელიც მათ სამიზნე აუდიტორიასა და ბენეფიციარებს ჩართავდა ონლაინ რეჟიმში.

სექტორში გამჭვირვალობა კვლავ შეზღუდულია. დაინტერესებულ პირებს შესაძლოა კვლავ შეექმნათ სირთულეები სსო-ების საქმიანობისა და ფინანსების შესახებ ინფორმაციის მოპოვების პროცესში, ვინაიდან ბევრი სსო ჯერ კიდევ არ აქვეყნებს ადვილად გასაგებ ანგარიშებს.

განაცხადი: აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის პანელის წევრებს და პროექტის სხვა მკვლევარებს და არ ასახავს USAID-ის ან FHI 360-ის შეხედულებებს.